

სტუდენტთა საყურადღებოდ! დაიწყო მობილობის პროცესი!

სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი სტუდენტი ვალდებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე (www.students.emis.ge) გაიაროს რეგისტრაცია 2021 წლის 16 აგვისტოდან 30 აგვისტოს 18.00 საათამდე.

სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში გადმოსვლის/ფაკულტეტის შეცვლის/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველებმა 2021 წლის 03 სექტემბრიდან 10 სექტემბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან გადმოსვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) განცხადება (განცხადება ივსება ადგილზე);
- ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- გ) სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- დ) სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/აკადემიური ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ;
- ე) საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანების დამოწმებული ასლი;
- ვ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ფაკულტეტის/საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) განცხადება (განცხადება ივსება ადგილზე);
- ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- გ) სასწავლო ბარათის ასლი, დამოწმებული ფაკულტეტის დეკანის მიერ;
- დ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ.

აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველებმა (სტატუსშეჩერებულმა) უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) განცხადება (განცხადება ივსება ადგილზე);
- ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- გ) სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/აკადემიური ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ;
- დ) სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების ასლი.

საშემსრულებლო მიმართულებით სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან გადმოსვლის ან/და ფაკულტეტის/საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის მსურველთათვის შემოქმედებითი ტური ჩატარდება 2021 წლის 14 სექტემბერს 12.00 საათზე.

კრედიტების აღიარების დასკვნაზე თანხმობის შესახებ განაცხადის რეგისტრაცია იწარმოებს 2021 წლის 15 სექტემბერს.

დამატებითი ინფორმაციისათვის შეიძლება დაუკავშირდეთ: ნინო ხარჩილავა, ტელ: 593 482 486, ელ-ფოსტა kharchilavanin@gmail.com